ცინაბსინი / CINNABSIN ®

- **საერთაშორისო დასახელება (აქტიური ნივთიერება):** comb. drug
- **კლინიკურ-ფარმაკოლოგიური ჯგუფი:** ჰომეოპათიური საშუალებები
- **მწარმოებელი კომპანია:** DHU
- **მწარმოებელი ქვეყანა:** გერმანია
- **გამოშვების ფორმა:** ტაბლეტი #100
- **გაცემის რეჟიმი:** III ჯგუფი (ურეცეპტოდ)

შემადგენლობა

1 ტაბლეტში (250 მგ) შედის:
აქტიური ნივთიერებები: Cinnabaris (ვერცხლისწყლის გოგირდოვანი ნაერთი) trit D3 25 mg, Echinacea (ექინაცეა) trit D1 25 მგ, Hydrastis (ძირყვითელა) trit D3 25 მგ, Kalium bichromicum (კალიუმის ბიქრომატი) trit D3 25 მგ,;
სხვა ინგრედიენტები (შემავსებლები): ლაქტოზას მონოჰიდრატი, მაგნიუმის სტეარატი, ხორბლის სახამებელი.
ჩვენებები
ცხვირის დანამატი ღრუების მწვავე და ქრონიკული ანთება (სინუსიტი).
მიღების წესები და დოზები
სხვა მითითებათა არარსებობისას ცინაბსინის მიღება შემდეგნაირად ხდება:
დაავადების მწვავე მიმდინარეობის დროს: 2-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებს 1 ტაბლეტს ყოველ 2 საათში (დღეში არაუმეტეს 8 ტაბლეტი), გაუმჯობესების დადგომამდე აძლევენ; შემდეგ, აღნიშნული ასაკის პაციენტები 1 ტაბლეტს დღეში 3-ჯერ, დაავადების სიმპტომების გაქრობამდე იღებენ. მოზრდილებმა და 12 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებმა 1 ტაბლეტი ყოველ საათში (დღეში არაუმეტეს 12 ტაბლეტი) მდგომარეობის გაუმჯობესებამდე უნდა მიიღონ. ამის შემდეგ, დაავადების სიმპტომების გაქრობამდე 1-2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ინიშნება.
უკუჩვენება
პრეპარატის დანიშვნა არ შეიძლება ქრომის, Echinacea, სხვა რთულყვავილოვანთა ან რომელიმე შემადგენელი ინგრედიენტის მიმართ გამოვლენილი ჰიპერმგრძნობელობის შემთხვევაში. პრინციპული მოსაზრებებით, ცინაბსინის დანიშვნა არ შეიძლება პროგრესირებადი სისტემური დაავადებების, მაგალითად, ტუბერკულოზის, ლეიკემიის, ლეიკოზების, კოლაგენოზების, აუტოიმუნური დაავადებების, გაფანტული სკლეროზის, შიდს-ის, აივ-ინფექციისა და სხვა ქრონიკული ვირუსული დაავადებების დროს.
ცინაბსინის გამოყენება მიზანშეწონილია გლუტეინური ენტეროპათიებით დაავადებულ ავადმყოფთათვის. პრეპარატი არ ინიშნება სახამებლის მიმართ ალერგიის დროს (ეს დაავადება გლუტეინური ენტეროპათიისგან სრულიად განსხვავებულია).

განსაკუთრებული მითითებები
თუ ექიმმა გითხრათ, რომ რომელიმე შაქრის აუტანლობა გაქვთ, ცინაბსინის მიღების დაწყებამდე საკონსულტაციოდ ექიმს მიმართეთ.
ყველა სხვა ფარმაცევტული პრეპარატის ანალოგიურად, ცინაბსინის მიღება ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში ექიმთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგაა დასაშვები.
2 წლამდე ასაკის ბავშვთა მკურნალობისთვის ცინაბსინის გამოყენება ექიმთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგაა დასაშვები.
სხვა წამლებთან ურთიერთქმედება
ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან ცნობილი არ არის.
ჰომეოპათიური პრეპარატებით მკურნალობა სხვა სამკურნალო საშუალებების მიღებას არ გამორიცხავს.